

ასოციაციაში გაწევრიანების კრიტერიუმები

- ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელიც აღიარებს ასოციაციის მიზნებს და მზადა არის შეასრულოს მისი საწესდებო მოთხოვნები;
- ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომელიც უერთდება ასოციაციის **ეთიკის კოდექსს** და აღიარებს მის ნორმებს;
- ასოციაციის წევრი უნდა იყოს ავტორიზებული კოლეჯი;

ასოციაციაში გაწევრიანების პროცედურები

1. კანდიდატის განაცხადის მიღება:

- გაწევრიანების მსურველი ორგანიზაცია (შემდგომში აპლიკანტი) ავსებს და წარუდგენს გამგეობას **განცხადებას** (განცხადების ფორმა დამტკიცებულია გამგეობის მიერ) გაწევრიანების სურვილის შესახებ;
- განცხადების მიღების შემდეგ გამგეობა ელექტრონული ფოსტით აცნობებს ასოციაციის ყველა წევრს ახალი აპლიკანტის შესახებ;
- ასოციაციის წევრებს საშუალება ეძლევათ 2 კვირის ვადაში გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება აპლიკანტის შესახებ;
- თუ რომელიმე წევრი კოლეჯი ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ აპლიკანტი ორგანიზაციის საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს, ან ეთიკის ნორმებს, მან უნდა წარმოადგინოს გამგეობაში არგუმენტირებულად დასაბუთებული ოფიციალური წერილი;

2. გამგეობის მიერ საკითხის განხილვა:

- წერილის მიღების შემთხვევაში გამგეობის მიერ გაიმართება საკითხის განხილვა წერილის მიღებიდან არაუგვიანეს სამი კვირისა, რომელზეც დასწრების უფლება აქვს აპლიკანტს და წერილის ავტორსაც;
- იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის განაცხადს არ მოჰყვება გამოხმაურება, გამგეობა წევრის მიღების შესახებ იმსჯელებს უახლოეს გამგეობის კრებაზე, არაუგვიანეს სამი კვირისა;

- გამგეობა უფლებამოსილია გადაწყვეტილების მიღებამდე განახორციელოს ვიზიტი აპლიკანტ კოლეჯში;

3. გადაწყვეტილების მიღება:

- გამგეობა იღებს გადაწყვეტილებას კენჭისყრის წესით;
- გამგეობის გადაწყვეტილება (დადებითი ან უარყოფითი) ეცნობება აპლიკანტს ელექტრონულად;
- დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, აპლიკანტი კოლეჯი ერთი კვირის ვადაში წარმოადგენს გამგეობაში ერთი წლის საწევროს გადასახადის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს და ბეჭდით დამოწმებულ წერილს, იმის თაობაზე, რომ უერთდება და აღიარებს ასოციაციის ეთიკის კოდექსს, რის შემდეგაც გადაწყვეტილება შედის ძალაში და გამოქვეყნდება საჯაროდ;
- უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში აპლიკანტს უფლება აქვს მიმართოს სააპელაციო კომისიას.

ასოციაციის წევრთა უფლებები

ასოციაციის წევრს შეუძლია:

- აირჩიოს და არჩეულ იქნას ასოციაციის ხელმძღვანელ (გამგეობა) ან სხვა ორგანოში;
- მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვაში;
- ისარგებლოს ასოციაციაში არსებული ინფორმაციითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;
- განათავსოს ინფორმაცია ასოციაციის ვებ-გვერდზე გამგეობასთან შეთანხმებით;
- მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ მოწყობილ პროექტებში, კონფერენციებში, სემინარებში, დისკუსიებში და სხვა სახის ღონისძიებებში;
- მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ ჩატარებულ პიარ აქტივობებში.

ასოციაციის წევრთა ვალდებულებები

ასოციაციის წევრი ვალდებულია:

- შეასრულოს ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- გადაიხადოს ასოციაციის ანგარიშზე საწევრო შენატანი დადგენილი წესითა და ფორმით;
- მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საქმიანობაში;
- გაუფრთხილდეს ასოციაციის პრესტიჟს, ქონებას, ღირსებასა და ავტორიტეტს.

საწევრო შენატანი და გადახდის წესი

- საწევრო შენატანი ასოციაციის წევრისათვის განისაზღვრა 30 ლარის ოდენობით, ყოველ სრულ და არასრულ თვეზე, რაც შეადგენს 360 ლარს. გადახდა ხორციელდება ერთჯდერადად ან ეტაპობრივად;
- ასოციაციის რეკვიზიტები:

ა(ა) იპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია
მისამართი: თბილისი, თ. ერისთავის ქუჩა 2
კოდი 400076181
ტელ.: +995 555 58 00 44

ელ-ფოსტა: pcageorgia@yahoo.com
www.ccol.ge

საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები
მიმდინარე ანგარიში ლარი
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
SWIFT : UGEBGE22
IBAN: GE52VT0900000000103608

დოლარის ანგარიში
Att:jscVTB Bank (Georgia)
SWIFT UGEBGE22XXX
Att: CITI BANK NA New York USA
SWIFT CITIUS33XXX
c/a 36021436
GE52VT0900000000103608